



DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
გაერთიანება

სარჩევი

იურიდიული ცნობარი	1
დაგეგმილი ღონისძიებები	2
ჩატარებული ღონისძიებები	3
წევრთა და სხვა სიახლეები	4
C-Team-ის შეთავაზება	5
კაუკაზუს რაიზენის პროექტი	6



DWV-იურიდიული ცნობარი

ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ახალი წესები


საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განწევსას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე მიზნად ისახავს ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლებას.

ბრძანებაში განსაზღვრული ნორმები სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისათვის და უცხოური ბანკების ფილიალებისათვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისათვის – საკრედიტო კავშირებისთვის და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის.

ცვლილებების სანახავად გადაადით ბმულზე



ოფიციალური წარმომადგენლობა



Senior Experten Service
მარია ბრეგაძე
maria.bregadze@dwv.ge

ალინა დოსტი
alina.dost@dwv.ge

Messe Frankfurt და Fruit Logistica
ზაირა სოლოევა
zaira.soloeva@dwv.ge

თანამშრომლობა



კონტაქტი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
თომას კიმმესვენგერი
+995 32 220 5767
thomas.kimmeswenger@dwv.ge



DWV-ტრენინგი: ბრენდის პოზიციონირება

13.04.2021 13:00 - 17:00

14.04.2021 09:00 - 17:00



განსახილველი საკითხები: ბრენდის არსი, წარმატებული პოზიციონირების შემადგენელი კომპონენტები, ბრენდის ხედვის მოდელი, მომხმარებლის გამოცდილება, მომხმარებელთა ლოიალურობის ზრდაზე მუშაობა, საკომუნიკაციო არხების რუქა.

სამიზნე აუდიტორია: კომპანიების დამფუძნებლები და მმართველი რგოლის წარმომადგენლები.

ტრენერი: ტომას ამანი

რეგისტრაცია

DWV- Get Together

21.04.2021; 17:00 - 20:00

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გინვევთ გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მორიგ "Get Together" ღონისძიებაზე ოთხშაბათს, 21 აპრილს, 17:00 საათიდან, რესტორანში Filini, სასტუმრო Radisson Blu Iveria-ში.

მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას.



DWV-ტრენინგი: სტრატეგიული კომუნიკაცია

22.04.2021; 14:00 - 18:00



განსახილველი საკითხები: სტრატეგიული კომუნიკაციის კომპონენტები, ხედვის ფორმულირება, თარგეთინგი, მესიჯ-ბოქსი.

სამიზნე აუდიტორია: PR-მენეჯერები, კომპანიების მმართველი რგოლის წარმომადგენლები და ყველა ის პროფესიონალი, ვინც კომპანიის კომინიკაციის სტრატეგიას განსაზღვრავს ან მონაწილეობას იღებს მის აღსრულებაში.

ტრენერი: კახა მალრაძე

რეგისტრაცია

Expert Talks: აუდიტორთან ურთიერთობა

თარიღი და სხვა დეტალები ცნობილი გახდება მოგვიანებით



ექსკლუზიურად ჩვენი წევრებისთვის

აუდიტი ხშირად აღიქმება, როგორც კიდევ ერთი დამატებითი რეგულაციური ტვირთი კომპანიის მენეჯმენტისთვის. თუმცა, აუდიტის პროცესის სწორად წარმართვის შემთხვევაში, მისგან მიღებულ სარგებელს დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს კომპანიის სტრატეგიული დაგეგმვისა და გადანაცვტილებებისთვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ფორუმი

4-5 მარტს გაიმართა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ფორუმი „დივერსიფიკაცია და ინოვაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“, რომელიც ორგანიზებული გახლდათ AHK Azerbaijan, AHK Belarus, DWV და AHK Ukraine მიერ. პროექტი განხორციელდა USAID-ის მხარდაჭერით, ეკონომიკური განვითარების, მმართველობისა და მენარმეობის ზრდის პროექტის (EDGE) ფარგლებში. ფორუმს 200-მდე კომპანია დაესწრო. ფორუმმა შექმნა პლატფორმა, სადაც წარმოდგენილი იყო წარმატებული პროექტები და ამჟამად აქტუალური ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობები.




შეხვედრა საქართველოს პარლამენტში

15 მარტს, საქართველოს პარლამენტში გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების (DWV) აღმასრულებელი დირექტორი, თომას კიმმესვენგერი საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ანრი ოხანაშვილს და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრს, მიხეილ დაუშვილს შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ორგანიზაციის კიდევ ერთი წარმომადგენელი, იურისტი ნუცა ბიბილაშვილი. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და მის მთავარ თემას სამომავლო თანამშრომლობის საკითხები წარმოადგენდა. ორივე მხარემ შეხვედრა შეაფასა ნაყოფიერად და გამოთქვა მჭიდრო სამომავლო თანამშრომლობის სურვილი.

ბიზნეს ფორუმი: ცვლილებები შრომის კოდექსში და მათი გავლენა ბიზნესზე

2021 წლის 16 მარტს, გაიმართა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების (DWV) ბიზნეს ფორუმი თემაზე ცვლილებები შრომის კოდექსში და მათი გავლენა ბიზნესზე. შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ბატონი ჰუბერტ ქნირში და შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსი ბატონი ბექა ფერაძე.



წევრთა გენერალური ასამბლეა 2021

23 მარტს გაიმართა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წევრთა გენერალური ასამბლეა. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, წლევანდელი ასამბლეაც ონლაინ ფორმატში ჩატარდა. ღონისძიების მონაწილეებმა შეაჯამეს 2020 წელი და განიხილეს 2021 წელს დაგეგმილი სიახლეები და ცვლილებები.

შეხვედრა გერმანიის ელჩთან: მცირე საწარმოები Covid-ის შემდეგ

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის, ბატონი ჰუბერტ ქნირშის ორგანიზებით, 2021 წლის 25 მარტს, ელჩის რეზიდენციაში გაიმართა შეხვედრა თემაზე “მცირე საწარმოები Covid-ის შემდეგ – ბიზნესის ფორმალიზაცია”. შეხვედრას ესწრებოდა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დოქტ. საშა ტერნესი.



წევრთა სიახლეები

- > დიო ჭრელი წინდების კამპანიას ჩვეულებისამებრ შეუერთდა
- > Lufthansa საქართველოში ფრენების სიხშირეს ზრდის
- > Gebrüder Weiss-მა გამოაქვეყნა ინფორმაცია გასული ფინანსური წლის განმავლობაში 1,77 მილიარდი ევროს ოდენობით წმინდა გაყიდვების შესახებ
- > Nexia TA სოლოს მომხმარებლებს სპეციალურ პირობებს სთავაზობს
- > საქართველოს ბანკი ქალ მენარმეებს ციფრული ადაპტაციის უფასო პროგრამას სთავაზობს
- > გრანტ თორნთონი სოლოს მომხმარებლებს სპეციალურ პირობებს სთავაზობს
- > BLC Law Office-მა გამოაცხადა კონკურსი სტიპენდიის მოსაპოვებლად
- > თიბისი ბანკმა ამ დრომდე 250-მდე აგროსტარტაპი დააფინანსა

სხვა სიახლეები

> შეხვედრა „მენარმეთა შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით

29 მარტს, გაიმართა შეხვედრა საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ფორმატში „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით.

ლონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის და პარლამენტის წევრები, ასევე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. გერმანიის ეკონომიკური გაერთიანებიდან შეხვედრას დაესწრო ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი, თომას კიმმესვენგერი და ორგანიზაციის წარმომადგენელი, ნუცა ბიბილაშვილი.

ლონისძიების მიზანი „მენარმეთა შესახებ“ ახალ კანონპროექტზე ბიზნეს სექტორთან დამატებითი კონსულტაციების გამართვა და პოზიციების შეჯერება იყო.

ამ ცვლილების შედეგად, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში, ყველას მიეცემა საშუალება, რომ მთავრობამ თითოეულ მათ შემთხვევაზე იმსჯელოს და მიიღოს მიიღოს გადაწყვეტილება – გადაუვადოს გადასახადები, აპატიოს პირგასამტეხლოები და გადაუვადოს საიჯარო ქირა.

> შეღავათები პანდემიის გამო დაზარალებული, სახელმწიფო ქონების შემძენი კომპანიებისთვის

„მთავრობა შეღავათებს გაუწევს იმ კომპანიებს, რომლებმაც აუქციონის გზით, სხვადასხვა პირობით შეიძინეს სახელმწიფო ქონება და პანდემიის გამო ვერ შეძლეს საფასურის გადახდა, საინვესტიციო პირობების შესრულება, ასევე მათ, ვინც იჯარით აიღეს სახელმწიფო ქონება და საიჯარო გადასახადი დაუგროვდათ“.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონში შესაბამისი ცვლილებების პროექტი მთავრობის 18 მარტს დაამტკიცა.

> თბილისში ევროკავშირის წარმომადგენლობის და EIB-ის ახალი ოფისები გაიხსნა

ოფისები, რომლებიც განთავსებულია თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა და EIB-ის პრეზიდენტმა ვერნერ ჰოიერმა გახსნეს.

> Wizz Air-მა ქუთაისის აეროპორტიდან ზაფხულის ფრენების ნაწილი გააუქმა

ფრენები ნოემბრამდე გადაიდო რომის, მილანის, ბერლინის, ტალინის, პოზნანის და ვროცლავის მიმართულებით.

Wizz Air-ში აცხადებენ, რომ ფრენების გადადების მიზეზი ევროკავშირის რეგულაციები და შეზღუდვებია. „დაზარალებული მგზავრები მიიღებენ ცნობას და ფრენის ალტერნატიულ განრიგს, ან შესაძლებელია თანხის სრულად დაბრუნება“ – აცხადებენ კომპანიაში

> სუბსიდირების პროგრამა თბილისში მდებარე მცირე და საშუალო ზომის რესტორნებისთვის

ფინანსური დახმარება ობიექტებისთვის განისაზღვრა 5,000 ლარით, ხოლო ერთი იურიდიული პირის მიერ ერთზე მეტი რესტორნის ოპერირების შემთხვევაში – 10,000 ლარით.

C-Team ჩვენი მკითხველებისთვის

C-Team Management Consulting-ი გთავაზობთ სტრატეგიული და ორგანიზაციული განვითარების პროექტს. საპროექტო პაკეტის დაკვეთის შემთხვევაში ორგანიზაციის ბიზნეს დიაგნოსტიკა სრულიად უფასოდ!

<p>უფასოდ დიაგნოსტიკა</p> <p>ორგანიზაციული სტრუქტურის, შიდა რესურსების და შესაძლებლობების ანალიზი</p>	<p>სტრატეგიული გეგმა</p> <p>კომპანიის თანამშრომლებთან ერთად გრძელვადიანი ორგანიზაციული სტრატეგიის შემუშავება</p>	<p>სტრუქტურა</p> <p>სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საჭირო ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება</p>	<p>KPI სამოტივაციო სისტემა</p> <p>ორგანიზაციაში არსებული პოზიციების სტრუქტურის KPI და სახელფასო სისტემის შემუშავება</p>	<p>ბიზნეს პროცესები</p> <p>To Be პროცესების ოპტიმიზაცია და მოდელირება</p>
---	---	--	--	--

დავით ქარდავა

მმართველი პარტნიორი



უმაღლესი განათლება მიიღო გერმანიაში, თრიერის უნივერსიტეტში ბიზნეს ადმინისტრირების განხრით. აქვს მუშაობის 9 წლიანი გამოცდილება გერმანიაში ისეთ საკონსულტაციო კომპანიებში, როგორცაა: PwC, Rödl&Partner, con|energy Unternehmensberatung, c.con Managementberatung.

ნათია ჭინჭარაული

პროექტების დირექტორი



უმაღლესი განათლება მიიღო-ამერიკაში, არგოსის უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების განხრით. აქვს 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება ამერიკის ფინანსური სექტორის ისეთ წამყვან კომპანიებში, როგორცაა: CapitalOneBank, Citibankი და WellsFargo.

ზაქრო ებელაშვილი

პროექტების მენეჯერი



C-Team-ის პროექტის მენეჯერი უმაღლესი განათლება მიიღო პალერმოსა და დუბროვნიკის უნივერსიტეტებში. აქვს პროექტების მართვის-მრავალწლიანი გამოცდილება როგორც კომპანიების რესტრუქტურირებისა და რეორგანიზაციის, ასევე ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციასა და სამოტივაციო სისტემების შემუშავებაში.



www.c-team.ge • (+995) 591061777 • info@c-team.ge • ა. ხორავას 3, თბილისი

კაუკაზუს-რაიზენი ჩვენი მკითხველებისთვის

მწყემსების უძველესი კულტურის შენარჩუნება კავკასიაში
და მდგრადი ტურიზმის საშუალებით მისი მხარდაჭერა



2005 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან „კაუკაზუს-რაიზენი“ უძღვება მეცხვარეების მიერ ცხვრის გადმორეკვას თუშეთიდან, რასაც მალე დოკუმენტური ფილმი მოჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ კი საოცარ მოგზაურობად იქცა, რომელშიც სტუმრებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ თუშეთიდან ყოველწლიურ ცხვრის გადმორეკვის პროცესში. 2019 წელს „კაუკაზუს-რაიზენ“-მა შეიძინა ცხვრის საკუთარი ფარა ორ თუშ მწყემსთან ერთად, რათა მხარი დაუჭიროს კავკასიაში მესაქონლეობის ტრადიციის შენარჩუნებას. ზაფხულში ცხვრის ფარა იმყოფება დიდ კავკასიაში წოვათას ხეობაში, ხოლო ზამთარში სამხრეთ სტეპებში აზერბაიჯანის საზღვარზე ვაშლოვანის ეროვნულ პარკში. სამწუხაროდ, ბოლო წლებში შეინიშნება მწყემსთა მეურნეობების მკვეთრი შემცირება

სწორედ ამიტომ, 2020 წლის ნოემბერში ჩვენ დავაარსეთ არასამეწარმეო (არაკომერციული) საზოგადოება, კავკასიაში მწყემსების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პროექტების შემუშავებისთვის.

კერძოდ „მეცხვარის ცხოვრება“ ცდილობს მდგრადი აგროტურიზმის იდეის განხორციელებას კონკრეტულ პროექტებში, რომლებსაც შეუძლიათ მწყემსებს მოუტანონ დამატებითი შემოსავალი. ეს ეხება ასევე მოგზაურებსა და მწყემსებს შორის ენობრივი ბარიერის შემცირებას მაგალითად, ისეთი პირობების შექმნას, რომ ტურისტებისთვის შესაფერისი მწყემსების ბანაკები მარტივად და შორიდანვე ამოსაცნობი გახდეს და მათ შორის დამყარდეს კომუნიკაცია.

ჩვენ ვეძებთ ჩვენი პროექტებისთვის დაინტერესებულ პარტნიორებს და მხარდამჭერებს. დაგვიკავშირდით ან მობრძანდით ჩვენს ოფისში!

გადადით ბმულზე და გაიგეთ მეტი პროექტის შესახებ.



KAUKASUS-REISEN

Kultur- und Abenteuerreisen in Georgien, Armenien und Aserbaidschan